



### დვალიშვილი უჩა

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქორეოგრაფიული მიმართულების ხელმძღვანელი.

1974 წ. წარჩინებით დაამთავრა თბილისის ს. ზაქარიაძის სახელობის კულტურულ საგანმანათლებლო სასწავლებელის ქორეოგრაფიული განყოფილება.

1980 წ. დაამთავრა ქ. სამარის (კუიბიშევი) კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ქორეოგრაფიული განყოფილება.

2003 წ. დაიცვა დისერტაცია თემაზე - „მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ცეკვები რელიგიურ და სახალხო რიტუალებში“.

მუშაობდა მომავლის პროფესიული სკოლა-ლიცეუმში მოცეკვავის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად.

1980-90 წ.წ. - ს. ზაქარიაძის სახელობის კულტურულ საგანმანათლებლო სასწავლებელში დისციპლინების: კლასიკური და მსოფლიო ხალხთა ცეკვები; ცეკვის კომპოზიცია და დადგმის პედაგოგად.

1992 -2006 წ.წ. - თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტი: ქორეოგრაფიული ხელოვნების კათედრის გამგე, ქორეოგრაფიული სახელოსნოს ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ფოლკლორის კომპლექსური კვლევის სამეცნიერო ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი.

2006 წლიდან დღემდე შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი.

1988 წელს ჩამოაყალიბა, ამჟამად, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი „როკვა“. დაარსებიდან დღემდე სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფი.

2007 წლიდან დღემდე ახორციელებს ფოლკლორის მხარდაჭერის საპრეზიდენტო ნაციონალურ პროგრამას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ეგიდით, ატარებს მასტერკლასებს ქორეოგრაფიაში, ახორციელებს ფოლკლორულ ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

არის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ფოლკლორული ანსამბლების სერტიფიცირების კომისიის წევრი, ფოლკლორის მხარდაჭერის საპრეზიდენტო ნაციონალური პროგრამის კომისიის წევრი.

საქართველოს განათლების სამინისტროს -ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის სამუშაო ჯგუფის წევრი, სკოლებში ახალი საგნის -ქართული ცეკვა-პილოტირება.

გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის წიგნები:

ავტორი - „ქართული ხალხური ცეკვა“ 2017,

შემდგენელი - „ქართული ხალხური ცეკვა“ ავთო თათარაძე, 2010, „ქართული ხალხური ცეკვა“ დავით ჯავრიშვილი, 2017

რედაქტორი - „დიდი ჯანო 2009“, „გიორგი სალუქვაძე 100“

2012 წ. მიენიჭა ქართული კულტურის ამაგდარის წოდება.

2010 წ. - ფოლკლორის ეროვნული პრემია.

2003 წ. - წინანდლის პირველი პრემია.

2002 წ. - საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ დაჯილდოვდა საქართველოს ხალხური ხელოვნების ფესტივალის დიპლომით.

2000 წ. ღირსების ორდენის კავალერი.

რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალებისა და კონკურსების რამდენიმე GRAND-PRI-ის და დიპლომის მფლობელი, მრავალჯგის ლაურეატი.